



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ხელმძღვანელობას

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისათვის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის

სარჩევი

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები.....	3
1.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	3
1.2 სხვა მატერიალური მარაგები	3
1.3 ძირითადი აქტივები	4
1.4 ფინანსური ოპერაციების არასწორი კლასიფიკაცია.....	5
1.5 სხვა შემოსავლები	5
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	7
2.1 ვადაგადაცილებული მოთხოვნები	7
2.2 მოგების გადასახადის გაანგარიშება	7
2.3 სააღრიცხვო პოლიტიკა	7
3. სხვა საკითხები.....	9
3.1 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	9
3.2 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	9
3.3 სხვა შემოსავლები	9
3.4 სამეურნეო ოპერაციების არადროული აღრიცხვა	10
4. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე შესრულების მდგომარეობა..	11
4.1 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	11
4.2 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	11

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

გამოვლენილი გარემოება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატის და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულია საგრანტო პროექტის ფარგლებში წარმოშობილი დებიტორული დავალიანებები 1,987,453 ლარის ოდენობით დონორი ორგანიზაციის (KFW) მიმართ, პროექტი დასრულდა 2014 წელს და აღნიშნულ მოთხოვნებზე უფლება აღარ არსებობს.

რეკომენდაცია N1: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატს და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

მნიშვნელოვანია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატმა და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტომ, შეიმუშაოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს:

- სამეურნეო ოპერაციების სრულად, დროულად და ზუსტად ასახვას შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.
- ყველა დაშვებულ არსებით (როგორც ხარისხობრივად, ისე რაოდენობრივად) შეცდომასთან დაკავშირებულ შესაძლო რისკებზე, გამომწვევ მიზეზებსა და გავლენებზე ადეკვატურ რეაგირებას, შეფასებასა და დადოკუმენტირებას.

გამოვლენილი გარემოება

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 70,772 ლარის ოდენობის მოთხოვნები, რომლებზეც არ არიან იდენტიფიცირებული ანგარიშვალდებული პირები.

რეკომენდაცია N2: სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაციის, ურთიერთშედარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, ამოღების ალბათობის შესწავლას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

1.2 სხვა მატერიალური მარაგები

გამოვლენილი გარემოება

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 815,496 ლარის საწყობიდან გაცემული და ექსპლოატაციაში მყოფი სხვა მატერიალური მარაგები, რომლებიც აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად, ექვემდებარება ხარჯად ჩამოწერას.

რეკომენდაცია N3: სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ჰქონდეს სრული და ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული აქტივების ბუღალტრულ მონაცემებთან თანხვედრის შესახებ, მნიშვნელოვანია საინვენტარიზაციო კომისიამ უზრუნველყოს საწყობიდან გაცემული და ექსპლოატაციაში მყოფი აქტივების იდენტიფიცირება და ხარჯად ჩამოწერა.

1.3 ძირითადი აქტივები

გამოვლენილი გარემოება

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ 4,845,024 ლარის ძირითადი აქტივების ღირებულების სიზუსტეზე ვერ მოვიპოვეთ რწმუნება. აღნიშნული აქტივების პირველად დოკუმენტაციაში ნაცვლად თითოეული აქტივის ღირებულებისა, მოცემული იყო მათი საერთო ღირებულება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ძირითადი აქტივების ღირებულებები სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბალანსზე სათანადო შეფასების გარეშე გადანაწილდა. შესაბამისად, შეუძლებელია მათზე დასარიცხი ცვეთის ხარჯისა და საბალანსო ნაშთის ზუსტად განსაზღვრა.

რეკომენდაცია N4: სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავდეს ძირითადი აქტივების ღირებულების შესახებ ინფორმაციას, რეკომენდებულია მოხდეს იმ აქტივების შეფასება, რომელთა ისტორიული ღირებულების შესახებ ინფორმაცია პირველად დოკუმენტაციაში არ არის მითითებული.

გამოვლენილი გარემოება

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე ასახულ 1,943,728 ლარის შენობებზე წარმოშობის დოკუმენტაცია არ იძენება. აქედან, სააგენტოს არ აქვს ინფორმაცია თუ სად მდებარეობს 1,816,078 ლარის დაუმთავრებელი მშენებლობა. 362,413 ლარის შენობაზე არ დასტურდება სარგებლობის უფლება, ხოლო ქ. ბათუმში მდებარე 31,506 ლარის ღირებულების შენობა ფიზიკურად აღარ არსებობს.

რეკომენდაცია N5: სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია საინვენტარიზაციო კომისიამ შეისწავლოს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების არსებობისა და საკუთრების უფლების საკითხები, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება პრობლემური ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება.

გამოვლენილი გარემოება

სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ბალანსზე ასახულია 6,505,151 ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობები, რომელთა თვითღირებულება მოიცავს მათზე დამონტაჟებულ მანქანა-დანადგარების ღირებულებებს. ვინაიდან ვერ მოვიპოვეთ ზემოაღნიშნული მანქანა-დანადგარების რეესტრი, შეუძლებელია მათზე ღირებულებისა და დასარიცხი ცვეთის ხარჯის განსაზღვრა.

რეკომენდაცია N6: სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს

იმისათვის, რომ სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს ჰქონდეს სრული და ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შესახებ, მნიშვნელოვანია საინვენტარიზაციო კომისიამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობებზე კაპიტალიზებული მანქანა-დანადგარების აღწერა, რის შემდეგაც განხორციელდება იმ მანქანა-დანადგარების იდენტიფიცირება, რომლებიც ცალკე აქტივად აღიარების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. აგრეთვე მნიშვნელოვანია, აღნიშნული შენობა-ნაგებობებისა და მანქანა-დანადგარების შეფასება და შესაბამისი კლასიფიკაციით წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში.

გამოვლენილი გარემოება

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოსა და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 3,449,451 ლარის ძირითადი აქტივები, რომლის განკარგვის უფლებამოსილება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მიკუთვნებული აქვს მუნიციპალიტეტებს.

რეკომენდაცია N7: სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსური ანგარიშგებები სამართლიანად ასახავდეს მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას, მნიშვნელოვანია, შესაბამის მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციით გაატარონ ქმედითი ღონისძიებები აქტივების გადაცემისა და ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით.

1.4 ფინანსური ოპერაციების არასწორი კლასიფიკაცია

გამოვლენილი გარემოება

რამდენიმე საბალანსო ერთეულის (სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო და ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო) ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლინდა ოპერაციების მუხლებს შორის კლასიფიკაციისა და დროში გამოიჯვნის შეცდომები.

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არასწორად არის წარდგენილი, კერძოდ:

- გაზრდილია „ძირითადი აქტივების“ ნაშთი და შემცირებულია „საინვესტიციო ქონების“ ნაშთი 1,702,045 ლარით;
- გაზრდილია „გრანტების“ (ხარჯის) მუხლი და შემცირებულია „ძირითადი აქტივების“ საწყისი ნაშთი 1,571,850 ლარით;
- გაზრდილია „არასაოპერაციო შემოსავლების“ მუხლი და შემცირებულია „გრანტების“ (შემოსავალი) მუხლი 21,566,892 ლარით;
- შემცირებულია 2016 წლის მიღებული გრანტების მუხლი 453,060 ლარით, ხოლო ამავე თანხით გაზრდილია 2017 წლის გრანტების მუხლი.

რეკომენდაცია N8: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

იმისათვის, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ასევე ცალკეული საბალანსო ერთეულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები, სამართლიანად და გამჭვირვალედ იყოს წარმოდგენილი, მნიშვნელოვანია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებითი შეცდომების დროულ აღმოჩენასა და შესწორებას, ასევე ბალანსის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად ასახვას.

1.5 სხვა შემოსავლები

გამოვლენილი გარემოება

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო იჯარით გასცემს ტურისტულ ობიექტებს. სააგენტოს მიერ იჯარიდან მისაღები შემოსავლები დაითვლება იჯარით გაცემული ობიექტების მიერ გამომუშავებული შემოსავლებიდან. შესაბამისად, ხელშეკრულების მიხედვით მოიჯარემ სააგენტოს ყოველთვიურად უნდა წარუდგინოს საბანკო და სალარო აპარატის ამონაწერები გადასახდელი იჯარის თანხის გამოსათვლელად. ზოგიერთ შემთხვევაში, მოიჯარეების მიერ დროულად არ არის ან არასრულყოფილად არის წარდგენილი საბანკო და სალარო აპარატის ამონაწერები. შესაბამისად, სააგენტოს არ აქვს ზუსტი ინფორმაცია მოიჯარეების მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ, რაც ზრდის მისაღები შემოსავლების შემცირების რისკს.

რეკომენდაცია N9: სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ სრულად მიიღოს და დარიცხვის მეთოდით აღრიცხოს გამომუშავებული შემოსავალი, მნიშვნელოვანია, დაიცვას იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრული კონტროლის მექანიზმი, საბანკო და სალარო აპარატის ამონაწერების სააგენტოში ყოველთვიურად წარდგენის შესახებ.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

გამოვლენილი გარემოება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის და სსიპ – ეროვნული საშენი მეურნეობის ფინანსურ ანგარიშგებაში ჯამურად ასახულია 18,684,668 ლარის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები, რომელთა ამოღების ალბათობა მცირეა.

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს მომავალში მისაღები ეკონომიკური სარგებლის რეალურ ოდენობას.

რეკომენდაცია N10: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატს და სსიპ – ეროვნულ საშენ მეურნეობას

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატმა“ და სსიპ – ეროვნულმა საშენმა მეურნეობამ უწყვეტ რეჟიმში განახორციელოს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების ამოღების პროცესის მონიტორინგი. შესაბამისმა სამსახურებმა უმაღლეს ხელმძღვანელობას წარუდგინონ პერიოდული ანგარიში აღნიშნული მიმართულებით მიღწეული შედეგების შესახებ.

2.2 მოგების გადასახადის გაანგარიშება

გამოვლენილი გარემოება

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს საანგარიშო პერიოდის მოგების გადასახადის გაანგარიშებისას, ერთობლივი შემოსავლებიდან საკუთარი სახსრებით გაწეული ხარჯები სრულად აქვს გამოქვითული.

რეკომენდაცია N11: სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

იმ შემთხვევაში თუ სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო ვერ ახორციელებს ქონებისა და საქმიანობის იმ ნაწილის გამიჯვნას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მის ეკონომიკურ საქმიანობასთან, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებისა და საქმიანობის გამოანგარიშების მიზნით, გამოიყენოს ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილის მეთოდი. აგრეთვე ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აღრიცხოს მოგების დეკლარაციის მიხედვით, ფორმა N4-ში კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშში.

2.3 სააღრიცხვო პოლიტიკა

გამოვლენილი გარემოება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგული ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით¹ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა, აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალების, მოძველებული მატერიალური ფასეულობების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯების და სხვ. მაგალითისთვის, დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ აქვს შემოსავლად აღიარებული, აღიარებულია მხოლოდ დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებში, ხოლო სსიპ – ღვინის

¹ 13-ე მუხლის მე-8 პუნქტი

ეროვნულ სააგენტოს საპროცენტო სარგებელი აღიარებული აქვს სხვა შემოსავალში. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია არ არის შესადარისი.

რეკომენდაცია N12: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

სამინისტროში ფინანსური ანგარიშგების, საიმედოობისა და შესადარისობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებებმა უზრუნველყონ ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, რომლის საშუალებით ასევე შესაძლებელი იქნება ბუღალტრული აღრიცხვის სათანადოდ წარმოება და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება.

3. სხვა საკითხები

გამოვლენილი გარემოება

3.1 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საწყობიდან გაცემული (ექსპლოატაციაში მყოფი) 464,122 ლარის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები. აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად, აღნიშნული აქტივები ექვემდებარება ხარჯად ჩამოწერას.

რეკომენდაცია N3 - სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ჰქონდეს სრული და ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული აქტივების ბუღალტრულ მონაცემებთან თანხვედრის შესახებ, მნიშვნელოვანია, საინვენტარიზაციო კომისიამ უზრუნველყოს საწყობიდან გაცემული (ექსპლოატაციაში მყოფი) აქტივების იდენტიფიცირება და ხარჯად ჩამოწერა.

3.2 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

გამოვლენილი გარემოება

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 347,742 ლარის კრედიტორული დავალიანებები, რომელთა მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია სააგენტოს არ გააჩნია.

რეკომენდაცია N13: სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია საინვენტარიზაციო კომისიამ უზრუნველყოს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული ვალდებულებების ინვენტარიზაცია, ურთიერთშედარების აქტების გაფორმება, მათი რეალობის, ხანდაზმულობისა და დაფარვის ალბათობის შესწავლა, ასევე შესაბამისი ქმედების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

3.3 სხვა შემოსავლები

გამოვლენილი გარემოება

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოში შეუძლებელია ადმინისტრაციულ ერთეულებში ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების იდენტიფიცირება, ვინაიდან გარდა ბილეთების რეალიზაციისა, ხორციელდება სხვადასხვა ტურისტული ინვენტარისა და აღჭურვილობის გაქირავება, საიდანაც მიღებული შემოსავლები ერთიანად ირიცხება ხაზინის ანგარიშზე.

რეკომენდაცია N14: სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს გააჩნდეს შემოსავლების სახეების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაცია, მნიშვნელოვანია შეიმუშაონ შემოსავლების აღრიცხვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ შემოსავლების აღრიცხვას სახეების მიხედვით.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია რომ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციულმა ერთეულებმა აწარმოონ და გარკვეული პერიოდულობით წარადგინონ გაყიდული ბილეთების სტატისტიკური ინფორმაცია.

გამოვლენილი გარემოება

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო შემოსავლებს აღრიცხავს საკასო მეთოდით, რაც გავლენას ახდენს მომსახურების გაწევიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე და წინასწარ მიღებული შემოსავლების ნაშთის

ოდენობაზე. სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს 2017 წლის 10 თვის შემოსავალი, 209,119 ლარის ოდენობით, აღრიცხული აქვს 2018 წლის იანვარში, ხაზინის ანგარიშზე თანხის ასახვის შემდგომ. ანალოგიურად, 19,915 ლარის ოდენობის წინასწარ მიღებული შემოსავალი, 2017 წელს ნაცვლად ვალდებულებისა, ასახულია შემოსავლებში.

რეკომენდაცია N15: სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს

იმისათვის, რომ სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავდეს შემოსავლების შესახებ ინფორმაციას, მნიშვნელოვანია, შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მისაღები შემოსავლების ოდენობის ზუსტად განსაზღვრას და დარიცხვის მეთოდით აღიარებას.

3.4 სამეურნეო ოპერაციების არადროული აღრიცხვა

სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციები ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებენ არა სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისთანავე, არამედ მოგვიანებით, წლის დასრულების შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდში. შესაბამისად, 2018 წლის იანვარში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე მოწოდებული 2017 წლის ბუღალტრული გატარებები არ იყო სრული. აღნიშნული გარემოება ზრდის ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ შეცდომის დაშვების რისკს და აფერხებს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

რეკომენდაცია N16: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში არსებულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ სამეურნეო ოპერაციების უწყვეტი და დროული ბუღალტრული აღრიცხვა.

4. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე შესრულების მდგომარეობა

4.1 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2016 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა 5 რეკომენდაცია, რომელიც ეხება სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სხვადასხვა უწყებებს. აღნიშნული რეკომენდაციებიდან ერთი რეკომენდაცია შესრულებულია, სამი შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო ერთი რეკომენდაცია არ არის შესრულებული. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სარეკომენდაციო წერილში წარმოდგენილია ის რეკომენდაციებიც, რომლებიც გაიცა წინა წელს და შესრულების სტატუსი არის ნაწილობრივ შესრულებული ან შეუსრულებელი.

4.2 საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2016 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა 11 რეკომენდაცია, რომელიც ეხება სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სხვადასხვა უწყებებს. აღნიშნული რეკომენდაციებიდან ორი რეკომენდაცია შესრულებულია, ხუთი შესრულდა ნაწილობრივ, ხოლო ოთხი რეკომენდაცია არ არის შესრულებული. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სარეკომენდაციო წერილში წარმოდგენილია ის რეკომენდაციებიც, რომლებიც გაიცა წინა წელს და შესრულების სტატუსი არის ნაწილობრივ შესრულებული ან შეუსრულებელი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE